განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„არქიტექტურა“

ბაკალავრიატი

(ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა)

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2021 წლის 24 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2022 წლის 18 იანვარი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ კერძო სამართლის იურიდიული პირი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	არქიტექტურა Architecture
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	არქიტექტურის ბაკალავრი Bachelor of Architecture
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება Architecture and Town Planning
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 31 იანვრის №23 გადაწყვეტილება

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ღარიბაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ხაბეიშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ხიმშიაშვილი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ქურდიანი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - უნივერსიტეტი) „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას (შემდგომში - პროგრამა) აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 31 იანვრის №23 გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღია 2022 წლის 31 იანვარი.

პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე და შედგება თვისუფალი და სწავლების ძირითადი სფეროს კომპონენტებისაგან. პროგრამა პროგრამის მოცულობა - 240 ECTS-ის კრედიტი (1 კრედიტი = 25 სთ), რაც ნაწილდება შემდეგნაირად: 180 კრედიტი - სწავლების ძირითადი სფეროს კომპონენტები (170 კრედიტი - სავალდებულო, 10 (მინიმუმ) კრედიტი - არჩევითი), ასევე 5 კრედიტი - „აკადემიური წერა“; 5 კრედიტი - „ინფორმაციული ტექნოლოგიები“; 50 კრედიტი - ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“ (მათ შორის, 15 კრედიტი - უცხო ენა) ან დამატებითი პროგრამა და „თავისუფალი კრედიტები“.

სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტის სავალდებულო ნაწილში პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა - ARC 101 არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები (I), არქიტექტურული ხაზვა (I; II), არქიტექტურა და ხელოვნება საუკუნეების განმავლობაში (მე-19 საუკუნემდე), მათემატიკა, პროფესიული ინგლისური ენა, რეპრეზენტიული ხატვა, შენობა-ნაგებობები, არქიტექტურული პროექტირება (I; II; III), პროექტირების ავტომატიზირებული სისტემები წარმოებაში (I, (AutoCAD 1); II (AutoCad 2); მასალები და კონსტრუქციები, არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები, მოდერნიზმი არქიტექტურასა და ხელოვნებაში, საერთაშორისო სამშენებლო კოდექსის საფუძვლები, ჯანმრთელობა და შრომის უსაფრთხოება, არქიტექტურა დღეს, ურბანული დაგეგმარების საფუძვლები, არქიტექტურული პროექტის სამგანზომილებიანი ციფრული ვიზუალიზაცია (3Ds Max), არქიტექტურული პროექტირება (IV; V), ინტერიერის დიზაინის საფუძვლები, მდგრადი არქიტექტურის საფუძვლები, ლანდშაფტის დიზაინის საფუძვლები, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი.

სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტის არჩევით ნაწილში პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა - არქიტექტურული გრაფიკა, არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები (II), უახლესი კონსტრუქციები, სოციოლოგია, მენეჯმენტის საფუძვლები, მომავლის ქუჩა ურბანულ კონტექსტში.

პროგრამის ფარგლებში, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი დამატებითი პროგრამა ან/და თავისუფალი კრედიტების სახით მისთვის სასურველი სასწავლო კურსები მათი წინაპირობების დაცვით.

თუ სტუდენტი ტესტირების შედეგად ვერ ადასტურებს ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე, მას ეკისრება ვალდებულება აირჩიოს პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ინგლისური ენის სასწავლო კურსები. B2 დონეზე ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, სტუდენტი თავისუფლდება ინგლისური ენის სასწავლო კურსების შესწავლის ვალდებულებისაგან.

უცხო ენის ოთხი დონე განსაზღვრულია შემდეგნაირად: A1, A2, B1 და B2. სტუდენტის მიერ უცხო ენის არჩევის შემთხვევაში დადგინდება ენის ცოდნის დონე (ტესტირების ან სერთიფიკატის წარმოდგენის შედეგად) და მას უფლება აქვს არჩეული უცხო ენა დაიწყოს შესაბამისი დონიდან.

პროგრამის აღწერა (კურიკულუმი) მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები).
- პროგრამის მიზნები.
- სწავლის შედეგები.
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.
- სწავლის შედეგების რუქა.
- სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები.
- დასაქმების სფეროები.
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.
- პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი.
- პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი.
- სასწავლო გეგმა.
- წინაპირობების ცხრილი.
- სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი.

პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია: არქიტექტურის ბაკალავრი/Bachelor of Architecture.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ინგლისურენოვანი „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით: ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ირმა ღარიბაშვილი და ექსპერტთა ჯგუფის წევრები - ნინო ხაბეიშვილი, თინათინ ხიმშიაშვილი, თამარ გვიანიშვილი, გიორგი ქურდიანი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი (შემდგომში - ვიზიტი) განხორციელდა ნაწილობრივ დისტანციურად (პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა ადგილზე ვიზიტით), Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით 2021 წლის 24 ნოემბერს.

ვიზიტის ფარგლებში, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ბიბლიოთეკის წარმომადგენელს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, პოტენციურ დამსაქმებლებს. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის (სახვითი ხელოვნების შემოქმედებითი სტუდია, კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკა, სასწავლო აუდიტორიები) შეფასება განხორციელდა ადგილზე ვიზიტით.

ვიზიტი წარიმართა კომფორტულ და კონსტრუქციულ ვითარებაში დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

<u>სტანდარტი 1</u> - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია</u> მოთხოვნებთან (1.1. კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 1.2. კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).

<u>სტანდარტი 2</u> - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.</u> (2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5 კომპონენტები შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო 2.6 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).

<u>სტანდარტი 3</u> - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (კომპონენტი 3.1. შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო კომპონენტი 3.2 არ შეფასდა, რადგან აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამა ბაკალავრიატის საფეხურისაა).

<u>სტანდარტი 4</u> - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (4.1, 4.2 და 4.4 კომპონენტები შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო 4.3 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).

<u>სტანდარტი 5</u> - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (5.1, 5.2, 5.3. კომპონენტები შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).

- **რეკომენდაციები**

<u>კომპონენტი 1.2:</u>

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების რუქისა და სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

<u>კომპონენტი 2.6:</u>

2. რეკომენდებულია სტუდენტთა შეფასების მინიმალური კომპეტენციის რაოდენობრივი მაჩვენებელი შესაბამისობაში მოვიდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსთან.

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია: შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და აღნიშნული რეკომენდაცია არ არის რელევანტური.

ექსპერტთა პოზიცია: ინგლისურენოვანი პროგრამა "არქიტექტურას" შეფასების სისტემა მოქმედ კანონმდებლობასთან აცდენილი არ არის, თუმცა აცდენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვრის არსთან. კერძოდ, შუალედური შეფასების მაქსიმალური 60 ქულიდან დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება **თუ მან მოაგროვა 20 ქულა.** ამავე დროს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური 40 ქულიდან მინიმალური **გამსვლელი ქულაა 15**. შესაბამისად **მინიმალური გამსვლელი ქულებით სტუდენტი აგროვებს 20+15=35 ქულას.** <u>აღნიშნული ქულა არ არის საკმარისი დამატებით გამოცდაზე სტუდენტის გასასვლელად.</u> **დაწესებულების ჩანაწერებიდან ჩანს, რომ <u>თუ სტუდენტმა მოაგროვა მინიმალური გამსვლელი ქულები (35 ქულა), ითვლება ჩაჭრილად.</u>** აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა მიერ არ მოხდა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინება.

<u>კომპონენტი 4.3</u>;

3.მემორანდუმებში დაკონკრეტდეს უშუალოდ პრაქტიკის ობიექტის (კომპანიის/ორგანიზაციის) ტერიტორიაზე სტუდენტთა მიერ პრაქტიკის გავლის საკითხები.

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია: მემორანდუმის სტანდარტული ფორმა ითვალისწინებს პრაქტიკის შესახებ ჩანაწერს. ზოგ შემთხვევაში კომპანიები ამჯობინებენ მემორანდუმში არ მიეთითოს დაწვრილებითი ინფორმაცია პრაქტიკის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკის განხორციელებისას ფორმდება ინდივიდუალური ხელშეკრულება. წარმოდგენილი მემორანდუმიდან ორში მითითებულია კონკრეტულად სტაჟირებასთან დაკავშირებული პუნქტები, ხოლო სამ მემორანდუმში სტაჟირების კომპონენტი მოიაზრება პუნქტში - საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებით აქტივობებში, სფეროებში თანამშრომლობა.

ექსპერტთა პოზიცია: ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 5 კრედიტის მოცულობის <u>სავალდებულო სასწავლო კურსს - **პრაქტიკა (ARC 352; VI სემესტრი).**</u> სასწავლო კურსის მიზანია -„გაამდიდროს სტუდენტის მიერ სწავლის პროცესში მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკული უნარ-ჩვევებით...“. დაწესებულებამ წარმოადგინა კომპანიებთან გაფორმებული 5 მემორანდუმი. მათ შორის სამი მემორანდუმი არ მოიცავს სტუდენტთა მიერ პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით კონკრეტულ ჩანაწერს, რაც მეტად გამჭვირვალეს გახდიდა საკითხს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა მიერ არ მოხდა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

<u>კომპონენტი 2.1:</u>

1. სასურველია პროგრამას დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტის სამგანზომილებაში აზროვნების უნარების შესაფასებელი ტური ნებისმიერი მიზანშეწონილი ფორმატით (გასაუბრება, პორტფოლიო და ა.შ.).

<u>კომპონენტი 2.2</u>:

2. სასურველია პროგრამის ძირითადი სწავლების სფეროს შესატყვისი საგნების ფარგლებში გაძლიერდეს გეოდეზიასთან, ასევე შენობების საინჟინრო აღჭურვასთან დაკავშირებული საკითხები უსდ-სთვის მისაღები ნებისმიერი ფორმით.

3. სასწავლო გეგმაში გასწორდეს უზუსტობა, კერძოდ: სასწავლო გეგმაში ერთი და იგივე დასახელების კომპონენტის გასწვრივ მითითებულია კრედიტების სხვადასხვა მოცულობა:

- „თავისუფალი კრედიტები ან/და დამატებითი პროგრამა - **50 კრედიტი:**
  - * უცხო ენა - 15 კრედიტი“ და
  - * „თავისუფალი კრედიტები ან/და დამატებითი პროგრამა - **35 კრედიტი“.**

4. სასურველია სასწავლო კურსები: „არქიტექტურული გრაფიკა“ და „არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები (II)” პროგრამაში შეთავაზებულ იყოს სწავლების მე-2 ან მე-3 სემესტრში არჩევითი სასწავლო კურსების სახით, ხოლო მე-7 სემესტრის არჩევით ნაწილში ჩაჯდეს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც სირთულის მიხედვით იქნება სწავლების სემესტრის შესაბამისი - მარტივიდან რთულისკენ პრინციპის დაცვით. ეს შეიძლება იყოს მაგ., „გარემოს დიზაინი“, „შენობათა რესტავრაცია-რეკონსტრუქცია“ ან უსდ-სთვის მისაღები ნებისმიერი სხვა კურსი.

კომპონენტი 3.1:

6. მიზანშეწონილია სტუდენტის მიერ შეფასების გასაჩივრების პროცედურები აისახოს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ ან სხვა დოკუმენტში დამატებითი ინფორმაციის სახით, რომელიც იქნება სტუდენტისთვის მარტივად ხელმისაწვდომი და გასაგები.

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია: გასაჩივრების პროცედურები გაწერილია დებულებაში - „გამოცდების ჩატარების წესი“. მუხლი 12. გამოცდების შედეგების გასაჩივრება.

ექსპერტთა პოზიცია: თვითშეფასებაში არის შემდეგი ჩანაწერი - „სტუდენტის შეფასების და გასაჩივრების პროცედურები აღწერილია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის **სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“.** სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ მოცემულია შემდეგი ჩანაწერი - „ **4.4. ზეპირი გამოცდების შედეგების „სისზე“ ასახვის, დაკავშირებული საკითხების გასაჩივრებისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში შედეგების წარდგენის საკითხები მოწესრიგებულია „გამოცდების ჩატარების წესით“ (R3I1G)“.** აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრების პროცედურები არ არის მარტივად მოძებნადი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. საკითხი უნდა გამოიყოს ცალკე პუნქტად, ან ვებ გვერდზე მარტივ წვდომაში იყოს ცალკე დოკუმენტის სახით, რათა სტუდენტმა შეძლოს მარტივად და კონკრეტულად წაიკითხოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. დაწესებულების მიერ მოწოდებულ დანართებში და თვითშეფასებაში დასტურდება შეფასების გასაჩივრების პროცედურების არსებობა.

7. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა გაზარდოს უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტებისა და გაცვლით პროგრამებში ჩართული სტუდენტების/ პერსონალის რაოდენობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. ქართული ენის სწავლება ინგლისურენოვან პროგრამაზე, რომელზეც ძირითადად

უცხოელი სტუდენტები სწავლობენ.

2. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, მათ შორის უცხოელიპროფესორების ჩართვა პროგრამის განხორციელებაში.
3. აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმების არსებობა და გამოყენება პრაქტიკაში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  -

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურს-დამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“ (შემდგომში - პროგრამა) ეყრდნობა შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებს და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამა ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკის თანამედროვე ტენდენციებს, საერთაშორისო და ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების გამოწვევებს. აღნიშნული უზრუნველყოფილ იქნა პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, მათი და ასევე წინა აკრედიტაციის დროს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას და ასახავს იმ ცოდნასა და კომპეტენციას, რაც უნდა გამოუმუშავდეს სტუდენტს პროგრამის გავლის შემდეგ. პროგრამა თავისი შინაარსით მიმართულია მოამზადოს სფეროსთან დაკავშირებული თეორიული ცოდნითა და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტები, რაც საწინდარია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საპროექტო საქმიანობის წარმართვის, სხვადასხვა ორგანიზაციაში მიმდინარე არქიტექტურულ პროცესებში ჩართულობისა და ამით, დარგის განვითარებაში წვლილის შეტანისთვის. პროგრამის კონცეფცია ითვალისწინებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს და მისიას. პროგრამის მიზნის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ როგორც აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, ისე დამსაქმებლები. პროგრამის მიზანი ლოგიკურად და ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, სინქრონიზებულია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ითვალისწინებს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი, თანამედროვე არქიტექტორის მომზადებას და მის წარმატებით დასაქმებას სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორში არქიტექტურული საქმიანობის განსახორციელებლად როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“. ○ თვითშეფასების ანგარიში. ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების ინსტრუქცია. ○ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-

2025.

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია.
- ბაზრის კვლევა, დამსაქმებელთა შეფასების ანალიზი და დასაქმების სტატისტიკა.
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://ibsu.edu.ge/ge/
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „არქიტექტურა“ (შემდგომში - პროგრამა) აქვს მიზანთან ლოგიკურ ბმაში მყოფი, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები, რომლებიც შესაბამისობაშია სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (განათლების მე-6 დონის აღმწერთან), არქიტექტურის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან და აღწერენ იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

პროგრამა სტუდენტს აძლევს არქიტექტურის ბაკალავრისთვის აუცილებელ ცოდნას როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტებში. პროგრამით შეთავაზებული სასწავლო კურსებით დაბალანსებულია თანაფარდობა თეორიული ცოდნის შეძენისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების თვალსაზრისით.

პროგრამის მოდიფიცირების პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის პოტენციურ დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობამ, ასევე წინა აკრედიტაციის და შუალედური მონიტორინგის დროს ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებამ, განაპირობა სწავლის შედეგების ნათლად ფორმულირება, დარგის და ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირება.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისა და გაზომვის მიზნით,

შემუშავებულია“პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, რომლის თანახმადაც შეფასება მოხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, შეფასების ადეკვატური ფორმებისა დამეთოდების გამოყენებით.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება გულისხმობს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებას. ამ კონტექსტში განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები. წარმოდგენილია სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკი, რითაც განსაზღვრულია თუ რომელ კონკრეტულ სწავლის შედეგზე მოხდება დაკვირვება კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში. სწავლის შედეგებზე დაკვირვებისთვის პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პერსონალმა განსაზღვრა 3 წელი. მკაფიოდ გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ეტაპები და დადგენილი სამიზნე ნიშნულიდან წინასწარ დადგენილი დიაპაზონით/მაჩვენებლით სამჯერ ზედიზედ გადახრის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებები.

უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, სადაც თვალნათლივ იკითხება თუ კონკრეტული სასწავლო კურსი რა დონეზე ავითარებს პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგს (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება). სწავლის შედეგებზე დაკვირვებისთვის აღებულია მხოლოდ ის სასწავლო კურსები, სადაც ხდება სწავლის შედეგების გაღრმავება და განმტკიცება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების რუკის თანახმად, სწავლის მე-10 შედეგზე, მე-2 დონეზე გადის „პროფესიული ინგლისური“, ხოლო მე-3 დონეზე მხოლოდ „არქიტექტურული პროექტირება V“ და „საბაკალავრო ნაშრომი“. თუმცა სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკის თანახმად, სწავლის მე-10 შედეგზე დაკვირვების მიზნით, სავსებით ლოგიკურად მოყვანილია სასწავლო კურსები: „არქიტექტურული პროექტირება I“, „არქიტექტურული პროექტირება II“, „არქიტექტურული პროექტირება III“, „პრაქტიკა“, „არქიტექტურული პროექტირება V“ და „საბაკალავრო ნაშრომი“. ამ უზუსტობის აღმოფხვრის მიზნით, რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკისა და სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

უნივერსიტეტში პროგრამის შეფასების მექანიზმად აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის სისტემა. მონაცემების ანალიზის შედეგები გამოყენებულია პროგრამის განვითარების პროცესში, მისი გასაუმჯობესებელი ცვლილებების სახით. „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის“ თანახმად შეფასების შედეგების გამოყენება მოხდება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს, შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“.
- თვითშეფასების ანგარიში.
- სასწავლო კურსების სილაბუსები.
- პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.
- „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია“, (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 15/05/2019წ. - ოქმი N7 (დანართი №1)
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
- სწავლის შედეგების რუქა.სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები.
- ბაზრის კვლევის ანგარიში.

რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების რუქისა და სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „არქიტექტურა“ (შემდგომში - პროგრამა) სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთ-ერთი ჩასაბარებელი სავალდებულო საგანია: მათემატიკა. ამასთან აბიტურიენტმა ერთიანი ეროვნული გამოცდებზე უნდა ჩააბაროს უცხო ენებიდან მხოლოდ ინგლისური და მოთხოვნილია 50%+1 ზღვრის გადალახვა.

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის წარმოდგენილია ბმულზე (https://iro.ibsu.edu.ge/en/home).

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ცნობადობის და პოპულარიზაციის მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით აწყობენ გასვლით საინფორმაციო შეხვედრებს აბიტურიენტებთან, აცნობენ მათ ინფორმაციას პროგრამებისა და მათზე დაშვების წინაპირობების შესახებ. უნივერსიტეტის მიერ ყოველ წელს ტარდება „ღია კარის დღე“ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, რომლის ფარგლებში ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი აქტიურად წარადგენს სტუდენტთა მიერ შესრულებულ ნამუშევრებს, აწყობს გამოფენებსა და ჩვენებებს, ავრცელებს საინფორმაციო მასალას, რაც ხელს უწყობს პროგრამის ცნობადობის ამაღლებას და დაინტერესებული აბიტურიენტების მოზიდვას პროგრამაზე.

ასევე, აღსანიშნავია, რომ UNESCO-UIA-ს არქიტექტურული განათლების ქარტიის (CHARTER UNESCO/UIA for Architectural Education) თანახმად, სტუდენტების შერჩევა უნდა მოხდეს მათი იმ უნარ-ჩვევების საფუძველზე, რომელიც აუცილებელია არქიტექტურის წარმატებით შესასწავლად (მუხლი III. აკრედიტირებული სასწავლო დაწესებულებისადმი წაყენებული მოთხოვნები და აკრედიტაციის პირობები. პუნქტი 3). ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სასურველია ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა „არქიტექტურა“-ს დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტის სამგანზომილებაში აზროვნების უნარების შესაფასებელი ტური ნებისმიერი მიზანშეწონილი ფორმატით (გასაუბრება, პორტფოლიო და ა.შ.).

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამაზე დაშვების პირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირთათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“.
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუს შედეგები.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://iro.ibsu.edu.ge/en/home
- UNESCO-UIA-ს არქიტექურული განათლების ქარტია (CHARTER UNESCO/UIA for Architectural Education).

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამას დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტის სამგანზომილებაში აზროვნების უნარების შესაფასებელი ტური ნებისმიერი მიზანშეწონილი ფორმატით (გასაუბრება, პორტფოლიო და ა.შ.).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) -
შეფასება ☒ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
ტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების ჩამონათვალი და კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო კურსების ხელმძღვანელის მიერ და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, რომელიც მტკიცდება „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქციით“ (R036I02G). ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“ (შემდგომში - პროგრამა) მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ▪ **აკადემიური წერა - 5 კრედიტი.** ▪ **ინფორმაციული ტექნოლოგიები - 5 კრედიტი.** ▪ **თავისუფალი კრედიტები ან/და დამატებითი პროგრამა - 50 კრედიტი:** ○ **უცხო ენა - 15 კრედიტი.** ○ **თავისუფალი კრედიტები ან/და დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა - 35 კრედიტი.** ▪ **სწავლის ძირითადი სფეროს: სავალდებულო კომპონენტები - 170 კრედიტი; არჩევითი სასწავლო კურსები - 10 (მინიმუმ) კრედიტი.** ***აღსანიშნავია, რომ სასწავლო გეგმაში დაშვებულია უზუსტობა/ხარვეზი, რომელიც უნდა აღმოიფხვრას დაწესებულების მიერ. კერძოდ: სასწავლო გეგმაში <u>ერთი და იგივე დასახელების კომპონენტის გასწვრივ მითითებულია კრედიტების სხვადასხვა მოცულობა:</u>*** ▪ ***<u>„თავისუფალი კრედიტები ან/და დამატებითი პროგრამა - 50 კრედიტი:</u>*** ○ ***<u>უცხო ენა - 15 კრედიტი“ .</u>*** ○ ***<u>„თავისუფალი კრედიტები ან/და დამატებითი პროგრამა</u> - 35 კრედიტი“.*** სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო კომპონენტებად პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა - მათემატიკა, ARC 101 არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები I, არქიტექტურული ხაზვა 1 და 2, არქიტექტურა და ხელოვნება საუკუნეების განმავლობაში (მე-19 საუკუნემდე), პროფესიული ინგლისური, რეპრეზენტატიული ხატვა, შენობა-ნაგებობები, არქიტექტურული პროექტირება I და II, არქიტექტურული პროექტირება III, პროექტირების ავტომატიზირებული სისტემები წარმოებაში I (Auto CAD 1), მასალები და კონსტრუქციები, არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები, მოდერნიზმი არქიტექტურასა და ხელოვნებაში, საერთაშორისო

სამშენებლო კოდექსის საფუძვლები, პროექტირების ავტომატიზირებული სისტემები წარმოებაში II (Auto Cad 2), არქიტექტურა დღეს, ურბანული დაგეგმარების საფუძვლები, არქიტექტურული პროექტის სამგანზომილებიანი ციფრული ვიზუალიზაცია (3Ds Max), არქიტექტურული პროექტირება IV, ინტერიერის დიზაინის საფუძვლები, მდგრადი არქიტექტურის საფუძვლები, არქიტექტურული პროექტირება V, ლანდშაფტის დიზაინის საფუძვლები, ჯანმრთელობა და შრომის უსაფრთხოება, პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი.

სწავლის ძირითადი სფეროს არჩევით სასწავლო კურსებად პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა - არქიტექტურული გრაფიკა, არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები II, უახლესი კონსტრუქციები, სოციოლოგია, მენეჯმენტის საფუძვლები, მომავლის ქუჩა ურბანულ კონტექსტში.

არქიტექტურის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის თანახმად, არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი: იაზრებს შენობა-ნაგებობის სისტემებთან დაკავშირებულ სტრუქტურებს, მასალებს, კონსტრუქციებს, სამშენებლო პროცესებს, ტექნოლოგიებსა და სხვა საინჟინრო საკითხებს. წარმოდგენილ პროგრამაში ზემოთ აღნიშნული საკითხები, რიგ შემთხვევაში, გაბნეულია სხვადასხვა სასწავლო კურსის თემატიკაში. თუმცა, როგორც დამსაქმებლებმა აღნიშნეს, ისეთი საინჟინრო საკითხების ცოდნა, როგორიცაა მაგ.: გეოდეზია - აუცილებელია. ექსპერტთა შეფასებით, სასურველია პროგრამის ძირითადი სწავლების სფეროს შესატყვისი საგნების ფარგლებში გაძლიერდეს გეოდეზიასთან, ასევე შენობების საინჟინრო აღჭურვასთან დაკავშირებული საკითხები უსდ-სთვის მისაღები ნებისმიერი ფორმით .

პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტი განაწილებულია ოთხი აკადემიური წლის, რვა სემესტრის განმავლობაში. თითოეულ სემესტრში სტუდენტის მიერ ასაღები კრედიტების მოცულობაა - 30. კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათი, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 35 კრედიტის ფარგლებში აირჩიოს უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი დამატებითი პროგრამა და/ან აითვისოს თავისუფალი კრედიტების სახით, რომლის ფარგლებშიც იგი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან წინაპირობების დაცვით. სტუდენტს აგრეთვე აქვს უფლება აღნიშნული კრედიტების მისაღებად ამოირჩიოს კურსები სპეციალობის არჩევითი კომპონენტებიდან.

მეექვსე სემესტრში გათვალისწინებულია პრაქტიკის გავლა, რომელიც მოიცავს 5 კრედიტს. პრაქტიკის გავლის დროს სტუდენტი ერთვება პროექტირების პროცესში და ეცნობა არქიტექტურული დოკუმენტაციის შემუშავებაში მონაწილე მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან ურთიერთობას. სწავლების ბოლო სემესტრში სტუდენტი მუშაობს საბაკალავრო ნაშრომზე და საჯაროდ დაცვის შემდეგ ენიჭება 10 კრედიტი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მე-7 სემესტრში არჩევით საგანთა ნაწილში წარმოდგენილია სამი სასწავლო კურსი, რომელთაგან ორი არის: „არქიტექტურული გრაფიკა“ და „არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები II”. ორივე სასწავლო კურსი, თავისი შინაარსითა და მარტივიდან რთულისკენ განვითარების ლოგიკით, უნდა ისწავლებოდეს არაუგვიანეს მე-3 სემესტრისა და არა მაშინ, როცა სტუდენტს უკვე გავლილი აქვს არქიტექტურული პროექტირების სასწავლო კურსები, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტირებიდან მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის დაპროექტებამდე. ექსპერტთა შეფასებით, სასურველია სასწავლო კურსები: 1. „არქიტექტურული გრაფიკა“ და 2. „არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები II”

პროგრამაში შეთავაზებულ იყოს სწავლების მე-2 ან მე-3 სემესტრში არჩევითი სასწავლო

კურსების სახით, ხოლო მე-7 სემესტრის სწავლების ძირითადი სფეროს არჩევით

ნაწილში ჩაჯდეს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც სირთულის მიხედვით იქნება სწავლების სემესტრის შესაბამისი - მარტივიდან რთულისკენ პრინციპის დაცვით, ეს შეიძლება იყოს მაგ., „გარემოს დიზაინი“, „შენობათა რესტავრაცია-რეკონსტრუქცია“ ან უსდ-სთვის მისაღები ნებისმიერი სხვა კურსი.

პროგრამაში უცხო ენებისთვის განკუთვნილია 15 კრედიტი. ინგლისური ენის არჩევა სავალადებულოა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ტესტირების შედეგად ვერ ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეზე. სტუდენტი თავისუფლდება ინგლისური ენის არჩევისგან იმ შემთხვევაშიც, თუ წარმოადგენს B2 დონის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია უცხო ენისთვის განკუთვნილი კრედიტების ფარგლებში აითვისოს სხვა რომელიმე უცხო ენა შეთავაზებული ნუსხიდან. უცხო ენის ოთხი დონე განსაზღვრულია შემდეგნაირად: A1, A2, B1 და B2. უცხო ენის არჩევის შემთხვევაში განისაზღვრება სტუდენტის ენის ცოდნის დონე (ტესტირების ან სერთიფიკატის წარმოდგენის შედეგად), რის შემდეგაც მას უფლება აქვს არჩეული უცხო ენა დაიწყოს შესაბამისი დონიდან.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ინგლისურენოვან პროგრამაზე, რომელზეც ძირითადად უცხოელი სტუდენტები სწავლობენ, ქართული ენა ისწავლება სპეციალური კურსით უცხოელთათვის.

პროგრამა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებში აუცილებელი ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებების განვითარებას არქიტექტურული დაგეგმარებისა და პროექტირების საკითხებში. ასევე, შენობათა ტექნოლოგიების, არქიტექტურული ფიზიკის პრინციპების, თეორიისა და უახლესი კვლევითი მიღწევების ცოდნაში. სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია პრაქტიკა, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 29-ე მუხლის მიხედვით, პრაქტიკა ხორციელდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებისა და „პრაქტიკის ინსტრუქციის“ (R03I07) შესაბამისად. პროგრამის კომპონენტების შერჩევა და შესწავლა ხდება პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, მათი წინაპირობების დაცვით - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 25-ე მუხლში განსაზღვრულია, რომ სტუდენტი, რომელიც ჩაიჭრა პრერეკვიზიტკომპონენტში, ვერ დარეგისტრირდება მის მომდევნო კომპონენტზე.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია – „არქიტექტურის ბაკალავრი“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად პროგრამის დეტალური სფეროს დასახელება და კოდი არის - (ISCED – F – 2013): 0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება/Architecture and Town Planning. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“.
- სასწავლო გეგმა.
- საბაკალავრო პროგრამების დებულება.
- სასწავლო კურსის სილაბუსები.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://iro.ibsu.edu.ge/en/home
- იბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.
- ინტერვიუს შედეგები.
- არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებელი.
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი.

- „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია“ (R036I02G).
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 23/08/2016 წ. - გადაწყვეტილება №6 (დანართი №5)).
- „პრაქტიკის ინსტრუქციია“ (R03I07).

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის ძირითადი სწავლების სფეროს შესატყვისი საგნების ფარგლებში გაძლიერდეს გეოდეზიასთან, ასევე შენობების საინჟინრო აღჭურვასთან დაკავშირებული საკითხები უსდ-სთვის მისაღები ნებისმიერი ფორმით .
- მიზანშეწონილია სასწავლო გეგმაში გასწორდეს აღნიშნული უზუსტობა, კერძოდ: სასწავლო გეგმაში ერთი და იგივე დასახელების კომპონენტის გასწვრივ მითითებულია კრედიტების სხვადასხვა მოცულობა:
  „თავისუფალი კრედიტები ან/და დამატებითი პროგრამა **- 50 კრედიტი:**
  - უცხო ენა - 15 კრედიტი“
  - „თავისუფალი კრედიტები ან/და დამატებითი პროგრამა - **35 კრედიტი“.**
- სასურველია სასწავლო კურსები: „არქიტექტურული გრაფიკა“ და „არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები (II)” პროგრამაში შეთავაზებულ იყოს სწავლების მე-2 ან მე-3 სემესტრში არჩევითი სასწავლო კურსების სახით, ხოლო მე-7 სემესტრის არჩევით ნაწილში ჩაჯდეს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც სირთულის მიხედვით იქნება სწავლების სემესტრის შესაბამისი - მარტივიდან რთულისკენ პრინციპის დაცვით, ეს შეიძლება იყოს მაგ., „გარემოს დიზაინი“, „შენობათა რესტავრაცია-რეკონსტრუქცია“ ან უსდ-სთვის მისაღები ნებისმიერი სხვა კურსი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის /კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინტერვიურებისას დადგინდა, რომ თითოეული სასწავლო კურსისთვის შესაბამისი ლექტორის მიერ შემუშავდა სილაბუსი. სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია შემდეგი პუნქტები: • სასწავლო კურსის დასახელება; • სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა; • სასწავლო კურსის კოდი; • აკადემიური წელი; • სემესტრი; • სასწავლო კურსის ტიპი (ძირითადი, არჩევითი); • სწავლების ენა; • ლექტორის ვინაობა; • ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია; • აუდიტორიის ნომერი; • დამატებითი კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია; • სასწავლო კურსის აღწერა; • პრერეკვიზიტი; • სასწავლო კურსის მიზანი; • სასწავლო კურსის სწავლის შედეგები; • სწავლებისა და სწავლის მეთოდები; • შეფასების სისტემა; • შეფასების სკალა; • სასწავლო მასალები; • კალენდარული გეგმა; • საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მოთხოვნები. ექსპერტთა მიერ შემოწმდა სასწავლო კურსის სილაბუსების შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის შინაარსი უზრუნველყოფს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებზე გასვლას. ხოლო, სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ითვალისწინებს თანამედროვე ტენდენციებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ინგლისურენოვანია პროგრამის სწავლების ენიდან გამომდინარე. ექსპერტთა მიერ შერჩევით შემოწმდა ძირითადი სასწავლო ლიტერატურის თემატიკა. სასწავლო მასალა მოიცავს სფეროს აქტუალურ მიღწევებს. სასწავლო კურსები ორიენტირებულია ზოგადად თეორიული ცოდნის შეძენაზე, დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მოცულობა ინდივიდუალურადაა განსაზღვრული, ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, მის თეორიულ თუ პრაქტიკულ ხასიათს. სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინგლისურენოვანი საბაკავლო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“. ○ სასწავლო კურსების სილაბუსები. ○ საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი. ○ თვითშეფასების ანგარიში. ○ ბიბლიოთეკა https://ibsu.edu.ge/ge/home-library/ ○ ინტერვიურების შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ითვალისწინებს საპროექტო და შემოქმედებით კომპონენტს, რომელიც პროგრამის სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სწავლების ძირითადი სფეროს სავალდებულო კომპონენტის „საბაკალავრო ნაშრომი“ სახით. საბაკალავრო ნაშრომი არის პროგრამის დამასრულებელი ნაშრომი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მათი პროგრესის დემონსტრირებას. ეს მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, რათა შემოწმდეს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისას მიღებული კომპეტენციები და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები.

არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის, არქიტექტურული სტილების, თანამედროვე და მდგრადი არქიტექტურული მიღწევების შესწავლა უვითარებს სტუდენტს პროფესიის საფუძვლებისა და დღევანდელი გეგმარებითი და სივრცითკომპოზიციური გადაწყვეტების საფუძვლიან ცოდნას. პროგრამის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის გარემოება, რომ მესამე სემესტრიდან სტუდენტები იწყებენ ინდივიდუალური არქიტექტურული პროექტის შესრულებას. პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული პრაქტიკის კომპონენტს, რომლის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში პრაქტიკა გაიარონ შესაბამისი სფეროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების სხვადასხვა პროექტებში ჩართულობას, როგორიცაა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ფესტივალები, გამოფენები, კონკურსები. **ექსპერტთა აზრით, პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი/შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტრატეგიული განვითარების გეგმა. ○ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დარგის ორგანიზაციებთან. ○ გამოკითხვის შედეგები. ○ ინტერვიურების შედეგები დაწესებულების წარმომადგენლებსა და სტუდენტებთან. ○ თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ▪ ქართული ენის სწავლება ინგლისურენოვან პროგრამაზე, რომელზეც ძირითადად უცხოელი სტუდენტები სწავლობენ.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები: ლექცია, სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობა, პრეზენტაცია (ლექტორის მიერ), დემონსტრირება, პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა, დედუქცია, დისკუსია/დებატები, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, გონებრივი იერიში, დისკუსია/დებატები ,ელექტრონული საშუალებებით სწავლება, შემთხვევების შესწავლა (case study), პროექტი, პრეზენტაცია (სტუდენტის/სტუდენტების მიერ), პრობლემის გადაჭრა, ჯგუფური მუშაობა, წიგნზე მუშაობა. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდი, რომელიც შერჩეულია კურსის წამყვანი პროფესორის მიერ. ინფორმაცია პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების შესახებ მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, პროგრამის კომპონენტის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისურენოვანი საბაკავლო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“.
- სასწავლო კურსების სილაბუსები.
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე.
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში გამოყენებული სტუდენტის შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისი: გამოიყენება 100 ქულიანი შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს 5 დადებით შეფასებას ((A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; (E)-საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა) და 2 უარყოფით შეფასებას ((FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუ-შაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების საკითხები რეგულირდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (თ. VI, „შეფასება“), რომელიც განსაზღვრავს შეფასების სახელმძღვანელო პრინციპებს, შეფასების ფორმებს, მეთოდებს და სხვ. შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით ფომებს, რომლებსაც აქვთ თავიანთი წილი შეფასების 100-ქულიან სისტემაში. შეფასების შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დაწესების პრინციპი: „სასწავლო კომპონენტების შუალედური/დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს შესაბამისი შეფასების მაქსიმალური ქულის 20%-ზე ნაკლები. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.“ შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა განისაზღვრება კომპონენტის სილაბუსით, პროგრამის კომპონენტის შუალედური შეფასება მოიცავს ერთ შუალედურ გამოცდას, ასევე შუალედური შეფასების არანაკლებ 6 ქულა უნდა ეთმობოდეს აქტიურობის შეფასებას. დასკვნითი შეფასებაზე დასაშვები პირობაა - შუალედური შეფასებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა. დასკვნითი შეფასება ტარდება სემესტრის ბოლოს, დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულა განისაზღვრება კომპონენტის სილაბუსით. დასკვნითი შეფასება სავალდებულოა და დაძლეულად ითვლება, თუ სტუდენტმა გადალახა დასკვნითი შეფასებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მისაღებად სტუდენტი გამოცდაზე დაიშვება შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მოგროვების შემთხვევაში. დასკვნითი შეფასების მაქსიმალური 40 ქულიდან კი მინიმალური გამსვლელი ქულაა 15, ანუ სტუდენტი მინიმალური გამსვლელი ქულებით აგროვებს 35 ქულას, მაშინ როდესაც დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა. <u>ამდენად, მიზანშეწონილია სტუდენტთა შეფასების მინიმალური კომპეტენციის რაოდენობრივი მაჩვენებელი შესაბამისობაში მოვიდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსთან, რათა გამოირიცხოს შეფასება „ჩაიჭრა“ მინიმალური კომპეტენციის ზღვარის შესაბამისი ქულების მიღების შემთხვევაში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა მხრიდან გაიწერა რეკომენდაცია.</u>

პროგრამის თითოეული კომპონენტის სილაბუსში მითითებულია შეფასების ფორმა, კომპონენტები, მეთოდი და კრიტერიუმი ასახულია შესაბამის სილაბუსში, რომლებიც ატვირთულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობას და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობას. საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში - შეფასების სისტემა და პროცედურა აღწერილია როგორც საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში, ისე „საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციაში“.

სტუდენტთა შეფასება მიმდინარეობს წინასწარ დადგენილი წესების შესაბამისად (დეტალურად აღწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ და „გამოცდების ჩატარების წესში“). სტუდენტთა შეფასებები აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ დაწესებულებაში მოქმედი შეფასების გასაჩივრების მექანიზმი სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას გაასაჩივროს მიღებული ქულა. რაც დაადასტურეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს. ასევე, სტუდენტებმა აღნიშნეს (ინტერვიუს და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები), რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალისგან იღებენ უკუკავშირს და საჭიროების შემთხვევაში - კონსულტაციებს, რაც ასევე დაადასტურეს პროგრამის განმახორციელებლებმა. სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი“. ○ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 23/08/2016 წ. - გადაწყვეტილება №6 (დანართი №5)). ○ „გამოცდების ჩატარების წესი“. ○ „საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია“. ○ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები. ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა. ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://ibsu.edu.ge/ge/ ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებლებთან, სტუდენტებთან. ○ თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: -მიზანშეწონილია სტუდენტთა შეფასების მინიმალური კომპეტენციის რაოდენობრივი მაჩვენებელი შესაბამისობაში მოვიდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგიადა ორგანიზება, პროგრამის თვისების შეფასების ადეკვატურობა	☒			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა აკრედიტებულია 2018 წლის 31 იანვრის N23 საბჭოს გადაწყვეტილებით და მასზე სტუდენტების ჩარიცხვა ხორციელდება 2019 წლიდან. შესაბამისად, დღეისათვის პროგრამას ჯერ არ ჰყოლია კურსდამთავრებულები, რის გამო გასაუბრება ჩატარდა მხოლოდ პირველ, მეორე და მესამე კურსის სტუდენტებთან. აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, აგრეთვე უნივერსიტეტის ვებგვერდზე არსებული ინფორმაციით, აკრედიტაციის პროცესისთვის წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტების და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტებს მიიღონ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე თუ კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით სათანადო კონსულტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ სტუდენტები ინფორმირებულები არიან სასწავლო პროცესის შესახებ, რასაც ხელს უწყობს ორი (SIS და SMART) პლატფორმა. SIS პლატფორმა უზრუნველყოფს სტუდენტების დასწრების და შეფასების ასახვას ონლაინ პლატფორმაზე, რომელთანაც ყველას აქვს წვდომა დისტანციურად. SMART პლატფორმა გამოიყენება უფრო მეტად სასწავლო პროცესის პარალელურად სალექციო დამატებითი ინფორმაციების მისაღებად ლექტორისგან იქნება ეს ამონარიდები, ჩანაწერები თუ სხვა დამხმარე მასალა. აღნიშნული მეორე პლატფორმა ფუნქციურად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პანდემიის პერიოდში, როდესაც სწავლების პროცესის დიდი ნაწილი დისტანციურად იმართება და ყველა სტუდენტს თანაბრად მიეწოდება სასწავლო სალექციო მასალა. ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ სტუდენტებს

აქვთ საშუალება დისტანციურად მოიძიონ საჭირო ლიტერატურა საუნივერსიტეტო საბიბლიოთეკო სისტემაში და მიუხედვად იმისა, რომ მათ არ აქვთ აღნიშნული ლიტერატურის ჩამოტვირთვის უფლება, სტუდენტებს შეუძლიათ ონლაინ წაიკითხონ (online reader) და გაეცნონ მასალას. სტუდენტებმა ინტერვიურებისას დაადასტურეს აღნიშნული საკითხი.

გარდა იმისა, რომ ყველა ლექტორი თავის სასწავლო ჯგუფს პირველ ლექციაზე გააცნობს სასწავლო კურსის სილაბუსს, სასწავლო კურსების უმეტესობა ითვალისწინებს სტუდენტებთან მჭიდრო და პირისპირ მუშაობას და საკონსულტაციო საათებს. აღნიშნული მნიშვნელოვანია სტუდენტების სწორად ინფორმირებისთვის (პროგრამასთან ან სასწავლო კურსთან დაკავშირებული საკითხებთან მიმართებაში), აგრეთვე აღნიშნული საკონსულტაციო დრო სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი (კურიკულუმის თუ მისი ფარგლებს გარეთ სწავლებისთვის) საჭირო ინფორმაციის მისაღებად. მაგალითად ისეთი ძირითადი სასწავლო კურსები, როგორიცაა „არქიტექტურული პროექტირება (I-V)“ რომლებსაც ასწავლის პროგრამის ხელმძღვნელიც, მოიცავს კვირაში ორ საათს საკონსულტაციო დროს სტუდენტთან შეთანხმებით. ყველა სტუდენტი ადასტურებს, რომ უკუკავშირთან დაკავირებული პრობლემები არ ჰქონიათ (იყო დროული და ობიექტური). აგრეთვე, უნივერსიტეტს აქვს კარგად ორგანიზებული ვებგვერდი. ნებისმიერ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ აქტივობებთან დაკავშირებით, სტუდენტთა ინფორმირება ხდება პირადი - საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის სახით.

სტუდენტების ჩართულობა, მათი ხედვა და მოსაზრებები ასახულია როგორც თვითშეფასების ანგარიშში, აგრეთვე უშუალოდ პროგრამაში: გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია სტუდენტების სურვილები - მაგალითად, ინტერვიუს დროს ხაზი გაესვა, რომ სტუდენტების მოთხოვნით 3Dmax-ის სწავლება გადმოიწია მე-3 კურსზე. აგრეთვე, სტუდენტების და დამსაქმებლების მოთხოვნით (მათი სურვილი დაემთხვა) გაძლიერდა პროგრამაში შემოქმედებითი ნაწილიც - დაემატა რეპრეზენტაციული ხატვა (სილაბუსის თანახმად ისწავლება II სემესტრიდან, თუმცა ჯერ არ ჩატარებულა, რადგან სასწავლო კურსი ახალი ჩამატებულია პროგრამაში).

ობიექტური შეფასებისთვის, აღსანიშნავია, რომ პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებულები და მეოთხე კურსის სტუდენტები, რის გამო შეუძლებელია შეფასდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ან რამდენად სრულფასოვანია სტუდენტებისთვის გაწეული კარიერული განვითარებისთვის საჭირო მხარდაჭერა. მიუხედავად აღნიშნულისა, პროგრამაზე პირველი კურსიდან ისწავლება აკადემიური წერა, რომელიც სილაბუსის მიხედვით მოიცავს მნიშვნელოვან ელემენტებს და კარიერული მხარდაჭერის ერთ-ერთ წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნულის გარდა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერის დაგეგმვის სამსახური და პროგრამა ითვალისწინებს „პრაქტიკა“-ს, რაც სტუდენტების დასაქმებისთვის პირველი ეტაპია. პროგრამის აღნიშნული კომპონენტი ამზადებს სტუდენტებს სამუშაო გარემოსთვის, ეხმარება გაითავისონ რეალობა და პრაქტიკის დროს დაამყაროს მათთვის საჭირო კავშირები. უნივერსიტეტს, აგრეთვე, აქვს გაფორმებული მემორანდუმები დამსაქმებლებთან.

ინტერვიუების მიხედვით „გასაჩივრებული შეფასების“ მაგალითი უნივერსიტეტში არ ფიქსირდება. თუმცა, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით არსებობს შესაბამისი პროცედურები. შეფასების გამოქვეყნებიდან, რომელიც აისახება SIS პლატფორმაზე, სტუდენტს ეძლევა 2-დღიანი ვადა, რომ მიმართოს ფაკულტეტს გასაჩივრებისთვის; შედგება კომისია და კომისიის ჩამოყალიბების შემდეგ ისევ 2 დღის ვადაში უნდა მოხდეს შედეგის წარდგენა. ამ დოკუმენტის მიხედვით გასაჩივრების პროცედურები უნდა იყოს ასახული სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, თუმცა (11.28.21 თარიღისთვის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (https://ibsu.edu.ge/wp-content/uploads/2021/11/IBSU_R03.G_Educational_Process.pdf) არ შეიცავს დეტალურ განმატებას ამ პროცესთან მიმართებაში. აღნიშნული დოკუმენტი განმარტავს: „35.4. ზეპირი გამოცდების შედეგების „სისზე“ ასახვის, დაკავშირებული საკითხების

გასაჩივრებისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში შედეგების წარდგენის საკითხები მოწესრიგებულია „გამოცდების ჩატარების წესით“ (R3I1G). ექსპერტთა ჯგუფის რჩევა იქნება აღნიშნულის განმატება გაიწეროს დეტალურად მარეგულირებელ წესში ან სტუდენტთა გზამკვლევში, აგრეთვე შეიძლება დამატებითი დოკუმენტის სახით მოხდეს აღნიშნული დოკუმენტის ჩამატება ვებგვერდზე.

ინტერვიუირების დროს ერთ-ერთი სტუდენტი ჩართული იყო როგორც გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტი რომელიც „ერასმუს+“-ის ფარგლებში სწავლობდა „UTP University of Science and Technology“-ს უნივერსიტეტში (პოლონეთი), რაც დასტურდება წარმოდგენილი გაფორმებული უნივერსიტეტთაშორისი მემორანდუმით. აღნიშნული მისასალმებელია, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში, როდესაც გადაადგილება შეძღუდულია. თუმცა, სასურველია, უნივერსიტეტმა მომავლის-თვის გაზარდოს პარტნიორი უნივერსიტეტების და გაცვლითი პროგრამების რაოდენობრივი მაჩვენებლები.

ექსპერტთა შეფასებით, სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემი-ური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 23/08/2016 წ. - გადაწყვეტილება №6 (დანართი №5)).
- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“.
- სასწავლო კურსის სილაბუსები.
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, განმახორციელე-ბელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია სტუდენტის მიერ შეფასების გასაჩივრების პროცედურები აისახოს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ ან სხვა დოკუმენტში დამატებითი ინფორმაციის სახით, რომელიც იქნება სტუდენტისთვის მარტივად ხელმისაწვდომი და გასაგები.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა გაზარდოს უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტისა და გაცვლით პროგრამებში ჩართული სტუდენტების/პერსონალის რაოდენობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☒ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

-ფასდება მხოლოდ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები -
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღ-წევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ როგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია პასუხობს მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და მოქმედ კანონმდებლობას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 5 ასოცირებული პროფესორი (მათ შორის, 4 აფილირებული) და 12 მოწვეული პერსონალი, მათ შორის პროგრამის განხორციელებაში ჩართული უცხოელი პროფესორები. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი დაცულია. აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის - 17/29, ხოლო აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 4/29.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების გაცნობით დგინდება, რომ რამდენიმე მათგანს საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აქვს განათლება მიღებული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. დადგინდა მათი სწავლების გამოცდილება, კვალიფიკაცია და ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენცია. მათი ნაშრომები გამოქვეყნებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში.

„შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შინაგანაწესის“ 22-ე მუხლში (რექტორის 2019 წლის 8 ივლისის №171 ბრძანება (დანართი №2)) განსაზღვრულია პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფუნქციები.

პერსონალის დატვირთვის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს: 1) საკონტაქტო (აუდიტორიული მუშაობა); 2) ინდივიდუალური მუშაობა, კონსულტაცია; 3) სხვა აქტი-ვობები (სხვადასხვა პროფესიულ სემინარსა და ტრენინგებში მონაწილეობა, სტაჟირება...). უნივერსიტეტში მაქსიმალური სალექციო დატვირთვა კვირაში არის: პროფესორისთვის - 9 აკადემიური საათი, ასოცირებული პროფესორისათვის - 12 აკადემიური საათი, ასისტენტ პროფესორისათვის - 15 აკადემიური საათი; მოწვეული ლექტორის დატვირთვა კვირაში მაქსიმუმ - 15 საათი. მითითებული დატვირთვისაგან განსხვავებული დატვირთვა შესაძლებელია დადგინდეს რექტორთან შეთანხმებით.

ამდენად, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო პროცესის წარმართვას, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას საფრთხე არ ექმნება.

აღსანიშნავია, რომ პროგრამას ხელმძღვანელი არის დარგის კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც აქვს პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და მდიდარი გამოცდილება შესაბისი მიმართულებით. დოკუმენტაციიდან და ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებაში და უნივერსიტეტის გარე შეფასების პროცესებში. საინტერესოა მისი სამეცნიერო ნაშრომებიც, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესშიც. ამდენად, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, გამოცდილება და ორგანიზაციული ფუნქციების შესრულება სრულად პასუხობს პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შინაგანაწესში (რექტორის 2019 წლის 8 ივლისის №171 ბრძანება (დანართი №2)) განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები.

უნივერსიტეტში მოქმედებს დასაქმებულის სამსახურში მიღების წესი (პერსონალის მართვის პოლიტიკა, დამტკიცებული მმართველი საბჭოს მიერ 21/08/2017 წ., ოქმი №4 (დანართი №1)).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 18/01/2018 წ., ოქმი N1 (დანართი №6)) მე-2 მუხლში განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ამოცანები და ფუნქციები, მათ შორის: ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება, შერჩევის პროცესის ორგანიზება, მოწვეული ლექტორების შერჩევის პროცესში მონაწილეობა, მათ შორის, კანდიდატების კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
პროგრამის მიზნების განხორციელებასა და სტუდენტთა მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. მათი ფუნქციები გათვალისწინებულია სტრუქტურული ერთეულების შესაბამისი დებულებებით (დამტკიცებული რექტორის 2019 წლის 8 ივლისის №171 ბრძანებით (დანართი №5)). ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის უფლებამოსილებები ურთიერთდაკავში-რებულია და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სათანადოდ განხორციელებას, ასევე დახვეწა-გაუმჯობესებას.

ექსპერტთა შეფასებით, უნივერსიტეტის აკადემიურ/სამეცნიერო, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და პროგრამის მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტრუქტურული ერთეულების დებულებები (დამტკიცებული რექტორის 2019 წლის 8 ივლისის №171 ბრძანებით (დანართი №5)).
- უნივერსიტეტის შინაგანაწესი (რექტორის 2019 წლის 8 ივლისის №171 ბრძანება (დანართი №2)).
- პერსონალის მართვის პოლიტიკა, დამტკიცებული მმართველი საბჭოს მიერ 21/08/2017 წ. - ოქმი №4 (დანართი №1).
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 18/01/2018 წ. - ოქმი N1 (დანართი №6)).
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ((სახელმძღვანელო დოკუმენტი), დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 15/05/2019 წ. - ოქმი N7 (დანართი №3)).
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.
- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“.
- სასწავლო კურსის სილაბუსები.
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, მათ შორის უცხოელი პროფესორების ჩართვა პროგრამის განხორციელებაში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☒ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების (ოქმი N7, დანართი №3) დოკუმენტის მე-3 მუხლში განსაზღვრულია „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების“ მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა ფასდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სემესტრულად და წლიურად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სტუდენტების გამოკითხვის შედეგების, სასწავლო პროცესის განხორციელების (ლექციების მიმდინარეობა, ლექციებზე დაკვირვება, ელექტრონული სისტემის წარმოება (SMART, SIS), სტუდენტების აკადემიური მოსწრება, გამოცდების მონიტორინგი და ა.შ.) და მათი აკადემიური/სამეცნიერო საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე. ამასთან, სტუდენტების გამოკითხვა და სასწავლო პროცესის წარმართვის შეფასება ხორციელდება სემესტრულად, რომელთა ანალიზი ხორციელდება აკადემიური წლის ბოლოს. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის აკადემიური/სამეცნიერო მოღვაწეობა დამატებით ფასდება ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების (სტატია, თეზისი, ჟურნალი, წიგნები და ა.შ.) სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები და ა.შ.), სემინარებსა და პროექტებში მონაწილების, ასევე უნივერსიტეტში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების მიხედვით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს უზრუნველყოფს სტუდენტთა გამოკითხვას და აღნიშნული გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, აფასებს სტუდენტთა კმაყოფილებას უნივერსიტეტის ადამიანური (აკადემიური და მოწვეული პერსონალი) და მატერიალური რესურსების თაობაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების თაობაზე ჩატარებული გამოკითხვების შედეგების შეჯამების საფუძველზე, განხორციელებული საგანმანათლებლო და სხვა აკადემიური პროცესების ანალიზისა და მათი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სათანადო აქტივობების დასაგეგმად, აცნობებენ აღნიშნულ შედეგებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და საჭიროები შემთხვევაში განიხილავენ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინდივიდუალურად. უნივერსიტეტში შემუშავებულია შემდეგი კითხვარები და დოკუმენტები, კერძოდ: ▪ აკადემიური პერსონალის წლიური შეფასების ფორმა. ▪ სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ანგარიშის (ბოლო 5 წელი) ფორმა. ▪ სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის წლიური ანგარიშის ფორმა. ▪ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების ფორმა. ▪ ადმინისტრაციული პერსონალის თვითშეფასების ფორმა. ▪ ლექციაზე დაკვირვების ფორმა და სხვა. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ფაკულტეტის 2018-2019 სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის წლიური ანგარიში“. დოკუმენტში მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია: პერსონალის აქტივობა, აქტივობების რაოდენობა წარმოდგენილ ანგარიშებში და აქტივობების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა. დოკუმენტში შენიშვნის სახით გაწერილია შემდეგი პირობა: „ყოველი აკადემიური წლის ბოლოს (30 ივნისამდე) უნივერსიტეტის ასისტენტი, ასისტენტ-პროფესორი, ასოცირებული

პროფესორი, პროფესორი აღნიშნულ ფორმას თავისი აკადემიური/სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერს. საანგარიშო პერიოდში ასისტენტმა უნდა დააგროვოს სულ მცირე 10 ქულა, ასისტენტპროფესორმა - 20 ქულა, ასოცირებულმა პროფესორმა - 40 ქულა, პროფესორმა 60 ქულა“. ასევე, უნივერსიტეტმა წარმოადგინა სამეცნიერო მოღვაწეობის წლიური ანგარიშის ანალიზი (II ნაწილი) 2018-2019 წელი.

სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ჯამდება და დაჯამებული შედეგების ანალიზი, ასევე აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ანგარიშის სახით გადაეცემა პროგრამის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას. ხარისხის უზუნველყოფის სამსახურთან ერთად იგეგმება სტუდენტთა გამოკითხვისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების გაანალიზებისას აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა.

წარმოდგენილი მასალის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის კრიტერიუმით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2018-2025 წლების „კვლევის პოლიტიკა“ (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 27/02/2018, ოქმი №4 (დანართიx №1)). დოკუმენტში გაწერილია კვლევის პირობები, კვლევისადმი მიდგომა, კვლევის პრინციპები (აკადემიური თვისუფლება, კვლევის როლი აკადემიური წინსვლისთვის). დოკუმენტის მე-4 მუხლში მოცემულია ინფორმაცია აკადემიური წახალისებისა და კვლევის შედეგების შესახებ. დებულება ძირითადად აფილირებული აკადემიური პერსონალის ფინანსურ წახალისებას უზრუნველყოფს, რათა მათ შეძლონ უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სარგებლის მიღება. ბიუჯეტი გარკვეულ წილად ფარავს ადგილობრივ და უცხოეთში გამართულ კონფერენციებში მონაწილეობის, მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების, პატენტის მისაღებად საჭირო კორექტურის/წიგნების ან წიგნის თავების ბეჭდვის ხარჯებს. არააფილირებული აკადემიური პერსონალი, მოწვეული და ადმინისტრაციული თანამშრომლები, ასევე, აკადემიური წახალისების სარგებელს მიიღებენ, თუ უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალებში გამოაქვეყნებენ მასალას. წახალისების საკითხი განიხილება სასწავლო და სამეცნიერო დარგში პრორექტორის აპარატის მიერ, განმცხადებლის მიერ წარმდგენილი ინფორმაციის შეფასების საფუძველზე. დოკუმენტის მე-5 პუნქტში განსაზღვრულია ინფორმაცია ტრენინგებსა და ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით.

ინტერვიურებისას აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ ინფორმაცია წახალისების საკითხთან დაკავშირებით. ერთმა პირმა აღნიშნა, რომ სტატიის გამოქვეყნებისთვის ორჯელ აქვს მიღებული თანხა. ერთი აკადემიური პირი დაფინანსდა კონფერენციებში მონაწილეობის მიღების მიზნით. ნაშორმის დაფინანსების მისაღებად შესავსებია სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებისათვის ჰონორარის მოთხოვნის ფორმა.

უნივერსტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2013 წლიდან უნივერსიტეტს გააჩნია ,,აკადემიური წახალისების დებულება“. 2021 წელს დებულებაში შევიდა ცვლილებები და გაიზარდა წახალისების თანხების მოცულობა, ასევე გამარტივდა წახალისების თანხის გაცემის პროცედურა. ,,აკადემიური წახალისების დებულებაში“ განსაზღვრულია შემდეგი მუხლები: სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის წახალისების თანხის მიღების წესი (მუხლი 4), სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების თანხის მიღების წესი (მუხლი 5), წახალისების თანხის გაცემა წიგნის/წიგნის თავის გამოცემისათვის (მუხლი 6), წახალისება სარედაქციო სამუშაოსათვის (მუხლი 7), პატენტი (მუხლი 8), წახალისება გრანტის მოზიდვისათვის (მუხლი 81).

პირადი საქმეებით დასტურდება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებსა და

კონფერენციებში, აქვს საერთაშორისო და ადგილობრივ ჟურნალებში პუბლიკაციები. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს გაცვლით პროგრამებშიც, რაც ასევე ხელს უწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესს. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ერთი აკადემიური პირი ERASMUS+ ფარგლებში 2-ჯელ იმყოფებოდა პოლონეთში ლექციების ჩასატარებლად. პროფესიული განვითარების მიმართულებით უნივერსიტეტი იყენებს მხარდაჭერის შემდეგ ფორმებს:

- ტრენინგები და სამეცნიერო კონფერენციებზე მივლინება;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრების მოწყობა;
- ანაზღაურებადი სამეცნიერ-შემოქმედებითი შვებულება;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება-ჩატარება.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია ტრენინგების ჩატარების დოკუმენტაცია და სხვა მტკიცებულებები (სურათები, დასწრების ხელმოწერები). ძირითადად ტრენინგები ჩატარდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებზე, პროგრამის შემუშავებისა და გაუმჯობესების მეთოდებზე. წარმოდგენილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. SMART და SIS პლატფორმების ეფექტურად გამოყენების ტრენინგში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და სხვ. რაც შეეხება უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შეფასებას, ეს ხორციელდება მათი მუშაობის ანგარიშების, შიდა შეფასების ფარგლებში სტუდენტთა, აკადემიური პერსონალისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მეთოდების დახმარებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „კვლევის პოლიტიკა“ 2018-2025 (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 27/02/2018 - ოქმი №:4 (დანართიx №:1)).
- ,,აკადემიური წახალისების დებულება“. (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 05/02/2018 წ., ოქმი №2 (დანართი №1); განახლების თარიღი: 01/04/2021).
- უნივერსიტეტის შინაგანაწესი (რექტორის 2019 წლის 8 ივლისის №171 ბრძანება (დანართი №2)).
- პერსონალის მართვის პოლიტიკა, დამტკიცებული მმართველი საბჭოს მიერ 21/08/2017 წ. - ოქმი №4 (დანართი №1).
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 18/01/2018 წ. - ოქმი N1 (დანართი №6)).
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ((სახელმძღვანელო დოკუმენტი), დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 15/05/2019 წ. - ოქმი N7 (დანართი №3)).
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://ibsu.edu.ge/ge/documentation/
- სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასების კითხვარი.
- სტუდენტთა გამოკითხვის (ლექტორების შეფასება) შედეგების ანგარიში.
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მოღვაწეობის წლიური ანგარიში აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით.
- ჩატარებული ტრენინგების შესახებ ინფორმაცია.
- კონტრაქტი აფილირების შესახებ.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ▪ აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმების არსებობა და გამოყენება პრაქტიკაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ძირითადი აქტივობები ხორციელდება უშუალოდ უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიებში, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრში. ექსპერტთა ჯგუფმა სასწავლო გარემო ვიზუალურად დაათვალიერა ადგილზე ვიზიტით. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს გააჩნია სახვითი ხელოვნების სტუდია, აუდიტორიები, კომპიუტერული ოთახები, საკონფერენციო და სასემინარო დარბაზები, ბიბლიოთეკა. სახვითი ხელოვნების სტუდია უზრუნველყოფილია ხატვისათვის საჭირო ინვენტარით. შემოქმედებითი და ხაზვის სალექციო აუდიტორიებში თითოეულ სტუდენტს აქვს სპეციალურად დამზადებული ინდივიდუალური მერხი და ლექციებისათვის საჭირო ნივთების შესანახი კარადა. აუდიტორიები აღჭურვილია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებით და პროექტორებით. დათვალიერებით დადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები არის თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვილი. დაწესებულებას გააჩნია უწყვეტი ინტერნეტით აღჭურვილი 3 კომპიუტერული აუდიტორია. შენობის გარკვეულ გარემოში (კომპიუტერული ოთახები, ბიბლიოთეკა, დერეფნები, ლიფტი) მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 29 ნოემბერს სწავლა იწყება ჰიბრიდული მეთოდით და სწავლის დაწყებამდე სასწავლო გარემოს გამართავდნენ და დაასუფთავებდნენ სრულად. ასევე, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაგეგმილია მომდევნო წლებში გაზარდოს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა/კვოტა 30-დან 40-მდე უცხოელი სტუდენტებისთვის. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პერიოდში, სამუშაო დღის ბოლოს, უნივერსიტეტმა სხვა მოთხოვნილ დოკუმენტებთან ერთად გადმოაგზავნა სურათები, მათი მეშვეობით დგინდება, რომ კომპიუტერული აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და დერეფნები უკვე მოწესრიგებული და დასუფთავებულია. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა გადატანილია სხვა სართულზე, უფრო ნათელ და დიდ სივრცეში, ასევე ბიბლიოთეკაში გამოყოფილია საკონფერენციო გარემო. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შემუშავებისას გაითვალისწინეს დამსაქმებელთა მოთხოვნები. უნივერსიტეტმა გააფორმა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი 5 კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციასთან. აღნიშნული ორგანიზაციები წარმოადგენს შესაბამისი პროფილის დაწესებულებებს.

მემორანდუმის საგანს წარმოადგენს უნივერსიტეტსა და აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, პროგრამის განვითარება, პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, სტუდენტების ჩართვა სტაჟირებაში, საჯარო ლექციებისა და სემინარების ორგანიზება, ტრენინგებისა და მასტერკლასების ორგანიზება, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ურთიერთთანამშრომლობა. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს. ასევე, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სტუდენტთა უზრუნველყოფას არამარტო თეორიული ცოდნით, არამედ პრაქტიკული გამოცდილებითაც სხვადასხვა საწარმოებსა და საპროექტო სტუდიებში პრაქტიკის ორგანიზების ხელშეწყობით. **უნივერსიტეტსა და პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული რამოდენიმე მემორანდუმი არ ითვალისწინებს ჩანაწერს პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა მიერ რეკომენდებულია, ყველა პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებულ მემორანდუმში გაიწეროს ინფორმაცია უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტთა მიერ პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით.**

უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით, განთავსებულია საევაკუაციო გეგმები და ცეცხლმაქრები. ფუნქციონირებს გათბობის, ვენტილაციის, კონდიცირების, განათების სისტემები და სველი წერტილები. კაბინეტ-ლაბორატორიები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით და ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით. სველი წერტილები და გარემო ადაპტირებულია შშმ პირებზე. უნივერსიტეტში დამონტაჟებულია ხელის დამუშავებისთვის აუცილებელი საშუალებები. უნივერსიტეტს ჰყავს მედდა, სამედიცინო პუნქტში არის პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტები და აღჭურვილობა.

ინტერვიურება განხორციელდა ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. კატალოგში ძიება საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს მოიძიოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი ლიტერატურა. ელექტრონულ კატალოგში ძებნა შესაძლებელია ავტორის, სათაურის, თემატიკის მითითებით. სტუდენტებს და პერსონალს წვდომა აქვთ შემდეგ საერთაშორისო ელექტრონულ რესურსებთან: Clarivate Analytics, EBSCOhost, Polpred.com, JSTOR Cambridge University journals, Royal Society Journals Collection, Elsevier. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას წვდომა აქვს Web of Science - საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაზე. პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მონაცემებს.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაქტობრივი გარემოებები;
- სახვითი ხელოვნების შემოქმედებითი სტუდია;
- ხაზვისა და საპროექტო კურსებისათვის სპეციალურად შექმნილი განახლებული სამუშაო მერხები;
- უნივერსიტეტის კომპიუტერული კლასები და ლაბორატორია;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- შზსუ-ის ბიბლიოთეკის კატალოგი და ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი სახელმძღვანელოები დასხვა სასწავლო მასალა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ელექტრონული ბაზები;
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;

o ტექნიკის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები: ▪ მემორანდუმებში დაკონკრეტდეს უშუალოდ პრაქტიკის ობიექტის (კომპანიის/ორგანიზაციის) ტერიტორიაზე სტუდენტთა მიერ პრაქტიკის გავლის საკითხები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიუჯეტის ოდენობის განსაზღვრას ახდენს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილების ფარგლებში. ბიუჯეტის შედგენის პროცესში ჩართულია ფაკულტეტები და უნივერსიტეტის სტრუქტურით გათვალისწინებული სხვა სამსახურები. აღნიშნული უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიუჯეტში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებას. ბიუჯეტი გათვლილია ორი შემთხვევისთვის - მაქსიმუმ 29 სტუდენტისა და 48 სტუდენტის რაოდენობისთვის, კერძოდ: ▪ <u>29 სტუდენტის შემთხვევაში</u> - შემოსავლები წარმოადგენს 130 526 ათას ლარს, ხოლო ხარჯები - 73 136 ათას ლარს. ხარჯებში მოიაზრება შემდეგი მიმართულებები - თანამშრომელთა ხელფასები, სამეცნიერო და კვლევითი ხარჯები, საგანმანათლებლო მხარდაჭერის ხარჯები. თვითოეული ხარჯი ჩაშლილია პუნქტებად. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმაში ნათლად არის გაწერილი ბიუჯეტის საკითხები. სტრატეგიულ გეგმაში 4.5. პუნქტში მიზნად განსაზღვრულია - ფინანსური მენეჯმენტის გაუმჯობესება (უნივერსიტეტის ბიუჯეტის უფრო ეფექტიანად დაგეგმვა და განაწილება). ▪ <u>48 სტუდენრის შემთხვევაში</u> - შემოსავლები წარმოადგენს 203 054 ათას ლარს, ხოლო ხარჯები - 64 556 ათას ლარს. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტს აქვს პროგრამის პერიოდული და ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა ფინანსურად მომგებიანია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის 2020/2021 და 2021/2022 წლის ბიუჯეტი. ○ თვითშეფასების ანგარიში. ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. ○ სტრატეგიული გეგმა 2018-2025, (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით, ოქმი №:2). ○ სამოქმედო გეგმა 2018-2021, (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით, ოქმი №:2 (დანართი №:3)).
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის კონცეფციას, ხარისხის მართვის პრონციპებს და სხვ. ადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტი „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტე-

ტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“. ამავე დოკუმენტით განისაზღვრება უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მონიტორინგის და შეფასების მიდგომები, წესები და მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება როგორც ინსტიტუციურ, ისე პროგრამების დონეზე. მითითებული დოკუმენტის თანახმად, საქმიანობის შეფასების და გაუმჯობესებისთვის სახელმძღვანელოა „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA) პრინციპი. პროგრამების შემუშავების, შეფასების და განვითარების საკითხები რეგულირდება „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციით“, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის და პროგრამის განმახორციელებელთა (აკადემიური და მოწვეული პერსონალის) რაოდენობის განსაზღვრა, მოთხოვნები პროგრამისადმი, კვალიფიკაციის მინიჭების საკითხები და სხვ.

უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად, მონიტორინგს და მიმდინარე პროცესების შეფასებებს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც გეგმავს მონიტორინგის პროცესს, ახდენს მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული ცალკეული საკითხების შეფასებას და შედეგების ანალიზს, რასაც შემდგომ წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა - საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა. პროგრამის და მისი განხორციელების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამების შეფასებას და მათი შესაბამისობის დადგენას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შეფასების პროცესში გამოიყენება პროგრამის შეფასება დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროგრამის განმახორციელებლები) მიერ. პროგრამის შეფასების პროცესი, ასევე, გულისხმობს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას, რომელიც ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციის მიხედვით.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის, მათ შორის პროგრამების, შეფასების პროცესები არის რეგლამენტირებული: შეფასება ხდება წინასწარ შემუშავებული ინსტრუქციების, შეფასების კრიტერიუმებისა და ფორმების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის და შედეგების გამჭვირვალობას, სიზუსტეს და შედასების (პროგრესიის დადგენის) შესაძლებლობას. შეფასების პროცესი არის დაგეგმილი, თანამშრომლობითი და კომპლექსური - ტარდება წინასწარ განსაზღვრული პერიოდილობით, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების, პერსონალის და დაინტერესებული მხარეების (სხვადასხვა ფორმით) ჩართულიბით, წარმოადგენს უწყვეტი გაუმჯობესების ციკლის ნაწილს - მოიცავს პროგრამის და მისი განხორციელების სხვადასხვა ასპექტების შესწავლა-შეფასებას, ანალიზს და გასაუმჯობესებელი ასპექტების იდენტიფიცირებას და ა.შ.

პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების და შეფასების პროცესებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მნიშვნელოვან როლს, აქტიურ ჩართულობას და მხარდაჭრას აღნიშნავდნენ პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით ეს არის უმნიშვნელოვანესი გარემოება, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისაგან ღებულობენ რეკომენდაციებს და რჩევებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს და სხვ. აღნიშნული დაადასტურეს პროგრამის განმახორციელებლებმაც. ასევე, ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი ფლობს ინფორმაციას შეფასების მექანიზმებს, შეფასების პროცედურების შესახებ, შეფასების შედეგებს კი იყენებს პროგრამის (პროგრამის

კომპონენტის) გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ინტერვიუს დროს დეტალურად ისაუბრა ფაკულტეტებთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან თანამშრომლობაზე, ასევე სამსახურის სამომავლო გეგმებზე, მათ შორის ხარისხის მართვის სისტემის განვითარების მიმართულებით, საიდანაც ერთ-ერთი აქტივობა იქნება უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შეფასებაში უცხოელის ექსპერტების ჩართულობა.

წარმოდგენილი დოკუმენტების, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას აქვს რელევანტური თეორიული საფუძვლები, გამოიყენება პროცესების რეგლამენტირების და მტკიცებულებებზე დამყარებული მიდგომები. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი არის კომპლექსური, თანამშრომლობითი და გამჭვირვალე პროცესი. ყოველივე მითითებული ერთობლიობაში უზრუნველყოფს შედეგების გაზომვადობას და გაუმჯობესების შესაძლებლობას, ასევე ხარისხის მართვის სისტემის მდგრადობას;
- პროგრამის მოდიფიცირების და თვითშეფასების შეფასების პროცესი არის კომპლექსური და თანამშრომლობითი პროცესი, რომელიც განხორციელდა სამუშაო ჯგუფის მიერ, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების გზით, მოქმედი წესების შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და შედეგების შესახებ ინფორმირებით, პროგრამის განხორციელებით უკვე მიღებული გამოცდილების და გარე შეფასების გათვალისწინებით.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურადაა ჩართული პროგრამის მოდიფიცირების, თვითშეფასების და განვითარების პროცესების მხარდაჭერაში, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კონსულტირებაში და ინფორმირებაში.
- პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია“;
- უნივერსიტეტში შემუშავებული ფორმები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა პროცესის/ასპექტის შეფასების და დოკუმენტირების მიზნით (თვითშეფასების ანგარიშის თანდართული);
- დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების შესწავლის კითხვარები;
- სტუდენტთა გამოკითხვების ანალიზის დოკუმენტები (2019-2020, 2020-2021);
- პროგრამის შეფასება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ (კითხვარი, ანგარიში);
- პროგრამის შეფასება დამსაქმებლების მიერ (კითხვარი, ანგარიში);
- პროგრამის შეფასება სტუდენტების მიერ (კითხვარი, ანგარიში);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები (2019-2020, 2020-2021);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2	გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა ორჯერ: პირველად - 2018 წელს, როდესაც პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N23, 31.01.2018), მეორედ - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - აკრედიტაციის საბჭო) შუამდგომლობით (სხდომის ოქმი N6, 31.01.2018) პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში (ამონარიდი სხდომის ოქმიდან: „მონიტორინგის საფუძველი გახლდათ ინგლისური ენის დონის დარეგულირება, კერძოდ საჭირო იყო მინიმალური კომპეტენციის ზღვარის აწევა და ასევე დაწესებულებას პირველ ეტაპზე უნდა უზრუნველყო პროგრამის სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის გაზრდა B2 დონემდე).

2020 წელს უნივერსიტეტში განხორციელა მონიტორინგი. ექსპერტთა ჯგუფმა შემოწმებისას, ძირითადი ყურადღება გაამახვილა იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ 2018 წელს იყო გაცემული რეკომენდაციები და საბჭოს მითითებები. დასკვნის თანახმად, შესამოწმებელი სტანდარტები შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და რეკომენდაციები გაცემული არ იყო. მონიტორინგის შედეგები განიხილა აკრედიტაციის საბჭომ (სხდომის ოქმი MES 1 20 0000694807, 17/08/2020), რომელმაც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის განხილვისა და ზეპირი მოსმენის საფუძველზე ცნობად მიიღო ექსპერტთა დასკვნაში ასახული პროგრამის შეფასება (პირველი სტანდარტი, მეორე, მეოთხე სტანდარტის 4.1 კომპონენტი და მეხუთე სტანდარტის 5.2 კომპონენტი - შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან) და მიიჩნია, რომ „ვინაიდან არ გამოვლენილა საგანმანათლებლო პროგრამის რემელიმე სტანდარტის მოთხოვნებთან შეუსაბამობა, შესაბამისად აკრედიტაციის გაუქმების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება უნდა შეწყდეს“ (გადაწყვეტილება MES 7 20 0000698241, 17/08/2020).

პროგრამის გუნდმა გაითვალისწინა 2018 წელს მიღებული ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები, კერძოდ: გაიზარდა სწავლის ძირითადი სფეროს (2018 წლის ტერმინოლოგიით - „სპეციალობის“) სასწავლო კურსების რაოდენობა; დაზუსტდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოთხოვნილია ინგლისური ენა, დაწესდა 50%+1 ზღვარის გადალახვის მოთხოვნა; სასწავლო კურს „პროფესიული ინგლისური ენა“ წინაპირობად განესაზღვრა B2 დონეზე ინგლისური ენის ფლობა; პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსად დაემატა “რეპრეზენტატიული ხატვა”; შეიქმნა სახვითი ხელოვნების შემოქმედებითი სტუდია; განხორციელდა პროგრამის შედარება უცხოეთის უსდ-ების მსგავს პროგრამებთან. ასევე, განხორციელდა პროგრამის შესწავლა დარგის სპეციალისტე-

ბის მიერ.

პროგრამა შეისწავლეს პოტენციურმა დამსაქმებლებმა, მათი რეკომენდაციით პროგრამას დაემატა რამდენიმე სასწავლო კურსი, რამდენიმე არსებულ სასწავლო კურსში კი გადაიხედა და მოდიფიცირდა სწავლის შედეგები. ინტერვიუს დროს დამსაქმებლებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ და დადებითად აფასებენ პროგრამას.

ასევე, პროგრამის გარე შეფასება განახორციელა დარგის სპეციალისტმა - უცხოეთის უნივერსიტეტის (University (OMÜ) Samsun, Turkey) წარმომადგენელმა (არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ), რომელმაც წარმოადგინა თავისი მოსაზრებები და აღნიშნა, რომ პროგრამა დადებით შეფასებას იმსახურებს, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სტრუქტურა და სასწავლო კურსების სემესტრული განაწილება კი სრულად პასუხობს ყველა მოთხოვნას აქრიტექტურის ბაკალავრის ხარისხის მისანიჭებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე შეფასებების ამსახველი მასალა (Report_External Expert);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტის „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ შესაბამისად პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სხვა სამსახურებთან ერთად, ახორციელებს პროგრამის და მისი განხორციელების პროცესის შეფასებას (მონიტორინგს). შესწავლას და შეფასებას ექვემდებარება ადმინისტრაციული და დამხმარე, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა და მათი დამოკიდებულებები (ე.წ. კმაყოფილების კვლევა); აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ასევე, მათი აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობა. შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტებად მიიჩნევა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს უზრუნველყოფს სტუდენტთა გამოკითხვას, რომლის შედეგების საფუძველზე,

აფასებს სტუდენტთა კმაყოფილებას პროგრამის განხორციელებით, აკამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების ერთ-ერთი ინსტრუმენტია სალექციო/პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობაზე დაკვირვება (მონიტორინგი), რომელიც გულისხმობს მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ აუდიტორიების დათვალიერებას და სტუდენტთა საინფორმაციო სისტემის მეშვეობით კონტროლს.

შეფასების მექანიზმებს მიეკუთვნება სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი (ტარდება ყოველი სემესტრის ბოლოს) და პროგრამის შედეგებისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულების მიღწევის შესწავლა (დეტალები მითითებულია დოკუმენტში „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“).

პროგრამის მონიტორინგის პროცესში შესწავლას ექვემდებარება სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხი, მათ შორის რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი და სტუდენტთა საინფორმაციო სისტემის (SIS) და ელექტრონული სისტემის (SMART) ფუნქციონირება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განმარტებით, შეფასებების შედეგები ეცნობა ფაკულტეტების დეკანებს და პროგრამების ხელმძღვანელებს, ამ შედეგების განხილვა - აუცილებელი შეფასების სისტემის აუცილებელი პირობაა.

გარდა ზემოთ მითითებული შეფასების პროცესისა, პროგრამის განვითარების მიზნით პროგრამას შეისწავლეს და შეაფასეს პოტენციურმა დამსაქმებლებმა, რაც დასტურდება წარმოდგენილი გამოკითხვების და ინრეტვიუს შედეგებით. ინტერვიუს დროს დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ ჰქონდათ გარკვეული რეკომენდაციები (მაგ., ერთ-ერთი ეხებოდა პროგრამის სტუდენტებისთვის ერთიანი სამუშაო სივრცის შექმნას), რომლებიც იყო გაზიარებული უნივერსიტეტის მიერ.

ასევე, განხორციელდა პროგრამის დადარება უცხოეთის უსდ-ს ანალოგიურ პროგრამებთან, რაც აისახა დოკუმენტში „საერთაშორისო ანალოგებთან შედარება (Benchmarkin)“. დადარების მიზნით შერჩეულ იქნა უცხოეთის 5 პროგრამა - Universidade de Lisboa (პორტუგალია), Delft University of Technology (ნიდერლანდები), Bauhaus-Universität Weimar (გერმანია), Osaka Institute of Technology (იაპონია), Shingu College (სამხრეთი კორეა). შედარების დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების ხანგრძლივობის, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამების მოცილობის, სტრუქტურისა და კომპონენტების, ასევე პროგრამების თანხვედრის %-ის შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, შესწავლილ იქმა რამდენიმე უცხოეთის უსდ-ს პროგრამება, ხოლო დადარების მიზნით შერჩეულ იქნა ის პროგრამები, რომლებიც ყველაზე ახლოს იყო უნივერსიტეტის პროგრამის კონცეფციასთან და პროგრამის გუნდის ხედვასთან, აღნიშნულზე, ასავე, ისაუბრეს პროგრამის აკადემიურიმა პერსინალმაც. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ანალოგიური პროგრამების შესწავლის პროცესში იყვნენ ჩართულნი სტუდენტები, რომლებმაც თავად მოიძიეს და შეისწავლეს პროგრამები. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, მათთვის საინტერესო იყო როგორც პროგრამების შინაარსობრივი დადარება, ისე სხვა მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება (მაგ., სტუდენტების ჩართულობა და გახსნილობა, საგამოფენო სივრცის არსებობა და სხვ.).

ზემოთ მითითებული შეფასების მექანიზმების გამოყენება არის დოკუმენტირებული (წარმოდგენილი სხვადასხვა ფორმების და ანგარიშების სახით) და ინტერვიუების შედეგებით დადასტურებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“;

- „საერთაშორისო ანალოგებთან შედარება (Benchmarkin)“;
- უნივერსიტეტში შემუშავებული ფორმები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა პროცესის/ასპექტის შეფასების და დოკუმენტირების მიზნით (თვითშეფასების ანგარიშის თანდართული);
- დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების შესწავლის კითხვარები;
- სტუდენტთა გამოკითხვების ანალიზის დოკუმენტები (2019-2020, 2020-2021);
- პროგრამის შეფასება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ (კითხვარი, ანგარიში);
- პროგრამის შეფასება დამსაქმებლების მიერ (კითხვარი, ანგარიში);
- პროგრამის შეფასება სტუდენტების მიერ (კითხვარი, ანგარიში);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები (2019-2020, 2020-2021);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„არქიტექტურა“. ბაკალავრიატი.

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამისმიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			
2. სწავლების მეთოდოლოგია დაორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒			
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ირმა ღარიბაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ნინო ხაბეიშვილი

თინათინ ხიმშიაშვილი

თამარ გვიანიშვილი

გიორგი ქურდიანი